წელიწადი პირველი. ფასი 5 კაპ. შაბათი, 17 ოქტომბერი 1915 წ. № 119

# საქართველო

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება „საქართველოს" რედაქციაში და კანტორაში ყოველდღე კვირა უქმეების გარდა დილის 9—3-მდე საღამოს 5—7-მდე.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობანი.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: თბილისში, მოსკოვის ქუჩაზე, № 4.

ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისათვის: Тифлисъ, редакціи „Сакартвело", поч. ящикъ № 76.

განცხადების ფასი:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე—10 კ., სამგლოვიარო განცხადება პირველ გვერდზე თითოჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 4 მან., 4 საათის შემდეგ (მიიღება მხოლოდ ს. ლოსაბერიძის სტამბაში, მოსკოვის ქუჩაზე) ღირება 5 მანეთი.

## „საქართველოს" კანტორისაგან

გაზეთი „საქართველო" 1 ოქტომბრიდან წლის დამლევამდე ღირს 2 მ.—70 კ.

მოვაგონებთ იმ ხელის მომწერთ, ვისაც ხვედრი ფული არ აქვს გადახდილი გაზეთის გზავნა შეუჩერდებათ.

მისამართი: г. Тифлисъ, редакція „Сакартвело", Московская 4, поч. щикъ 76.

კანტორა უმორჩილესად სთხოვს თბილისის ხელის მომწერთ დაუყოვნებლივ აცნობონ კანტორას თუ ოდესმე მათ გაზეთი არ მიუვა.

## პროვინციელ აგენტების საყურადღებოდ

აცხადებს გაზეთ „საქართველოს" რედაქცია, რომ, პირველ ოქტომბრიდან გაზეთი „საქართველო" გადაეცა კანტორა „განათლებას". თუ რომელიმე აგენტს, რამდენი სჭირია ხსენებული გაზეთი, დაუყოვნებლივ აცნობოს კანტორა „განათლებას".

„საქართველოს" რედაქცია.

## „ხარფუხის კლუბი"

საზამთრო სადგომი მიხეილის პროსპექტი № 129—131

პროგრამა 17—18 ოქტომბრამდე.

შაბათს, 17 ოქტომბერს საოჯახო საღამო.
კვირას 18 ოქტომბერს სიმებიანი ორკესტრი, ბ. პრესმანის ლოტბარობით.

სინემატოგრაფის დასაწყისი საღამოს 8 საათზე. მოდგენების $8^{1}/_{2}$ ს.

სტუმრები კლუბში შესასვლელად ჩვეულებრივ ფასს იხდიან.

ახლად დაარსებული საამხანაგო

## ფქვილის საწყობი „რაჭა"

ჰყიდის მეპურეებზე და კერძო პირებზე ფქვილს ხელმისაწვდომ ფასებში. ჩერქეზიშვილის ქუჩა № 3. —20

## განწმენდის ჟამი

ულმობელი ჟამი დგას. ჟამი სიმართლის მხილებისა, შხამზედ უმწარესი სიმართლისა! ჟამი წარსულის შეცდომათა იძულებითი აღიარებისა! ჟამი პირქვე დამხობის საყვარელ ღმერთად და ხელშეუხებელ კერპად მიჩნეულ ჭეშმარიტებების! ჟამი უსასრო დამარცხებისა ქვეყნის ღრმად ჩათვლილ კანონის, გარდუვალ ძალად სახულ კანონის! ჟამი თან-შეზრდილ და სულში შექსოვილ რელიგიის უძლურების ცნობისა და წამებისა! ჟამი დაურიდებლად მხილებისა! ჟამი მოგვთა და ქურუმთა ქედის დრეკისა და ძველ ღმერთებისადმი ყოვლად შემძლებელობის და ყოვლშეცულობის რწმენის დაკარგვისა... პსიხოლოგიური განცდისა. ჟამი თან ბოროტი და თანაც კეთილი!..

ეროვნობამ, ეროვნულმა იდეამ თოფიარაღი აისხა და ასპარეზზე გამოვიდა. აბუჩად აგდებული, ხშირად შეგინებული, იგი დღეს უნივერსულ პატივცემაშია. ხშირად უარყოფილი, იგი დღეს მეუფე მბრძანებელია მილიონ ხალხების ენერგიათა! ეროვნება და ეროვნული იდეა ვადა-გასულ თამასუქად იყო მონათლული; ეროვნების იდეის უარყოფასა და დრომოჭმულობაზე ღაღადისი ისმოდა იმ ქვეყნებში, სადაც ეროვნება, როგორც ესეთი, დაცული იყო უზენაესად და არ იდგა საჭიროება ამ იდეის პროპაგანდის. ეროვნულ იდეას უარყოფდა იმ ქვეყნის სოციალისტობა, სადაც არ არსებობდა ფაქტი ეროვნული დევნისა და შევიწროების, სადაც უცნობი იყო წმინდა ეროვნული ტკივილები, ეროვნული უბედურება. და ამ თვით-ხელმწიფე ერების მემარცხენე ფალანგებისაგან შექმნილი მოძღვრება შხამავდა იმ ერის ინტელიგენციასაც, სადაც ეროვნული საკითხი მთელი ქვეყნის ყურადღების საგნად უნდა ყოფილიყო გადაქცეული. საქართველომ ყველაზედ მწვავედ განიცადა ეროვნულ იდეის უარყოფის დამღუპველი შედეგები, რომელიც აქ შემოიტანეს მარქსის სკოლის ქართველმა სოციალისტებმა. ერთგული შეგირდები პლეხანოვების და დეიჩებისა, ჩვენი მარქსისტები უკრიტიკოდ, უანალიზოდ ყმურის მორჩილებით ნერგავდენ ეროვნულად გათელილ საქართველოში საქართველოს ძირის გამომთხრელ აზრებს, ეროვნული იდეა მეტხორცია ცხოვრებისაო, დრომოჭმული ცნებააო, წარმოშობილია ბურჟუაზიისა და როგორც ესეთი იერიშით გასატანი და დასამარცხებელიო. მთელი 10—15 წელიწადი სწარმოებდა შეუფერებელი ბრძოლა და ქვეყნის მოწინავე საზოგადოების ენერგია იმაზედ იხარჯებოდა, ამართულიყო თუ არა ჩვენში ეროვნული იდეის დროშა.

დღეს, როდესაც გასაჭირი დაუდგათ დიდ ერებს, როდესაც საფრთხე დაუდგა დიდ ერების ეროვნულ მთლიანობას, სულიერ-ნივთიერ დოვლათს, დღეს ამ დიად ქვეყნის სოციალისტები ერთის ხმით ალაპარაკდენ და მათი საპროპაგანდო საგნად გადაიქცა კლასიურ ინტერესის მივიწყება და წამოყენება საერთო ეროვნული ინტერესისა. ყველამ უწყის, რომ სოციალისტური პარტიების მეთაურები მრავლად შევიდენ საფრანგეთისა და ბელგეთის სამინისტროებში, ყველამ უწყის ისიც რა თავგამოდებით იბრძვის გამარჯვებისათვის გერმანეთის სოციალდემოკრატია.

დღეს როდესაც რუსეთის შუაგულში გერმანეთის ჯარი შეიჭრა და რუსის ერს საფრთხე მოელის, რუსეთის სოციალ-დემოკრატიის მეთაურნი ხმა შეწყობილად გამოდიან და საერთო მოწოდებით მიმართავენ „მუშებს, ნოქრებს, ხელოსნებს, ერთის სიტყვით ყველა იმათ, ვინც ოფლითა თვისითა პურსა სჭამს" და აუწყებენ მათ რომ „სამშობლო ქვეყანას თავდაცვა ესაჭიროება", აფიცებენ „ახსოვდეთ რუსეთი", ამოძღვრებენ „კერძო უნდა დაუმორჩილოთ საზოგადოსო", „ამიერიდან თქვენი ლოზუნგი უნდა იყოს მტერზე გამარჯვებაო". ვერა ხედავთ, ყოფილა მომენტი, როდესაც ერის უდიდესი ორგანიზაციის—სახელმწიფოს—დაცვა ყველაზედ ძლიერია და როდესაც კერძო და კლასური უნდა შეეწიროს და დაემორჩილოს ეროვნულს, საზოგადოს. ამას ამბობს: გ. პლეხანოვი, ლ. დეიჩი, მ. ალექსინსკი ა. ბახი, პ. ბუნაკოვი და სხვა ბელადები რუსეთის სოციალ-დემოკრატიისა.

რისაც ეშინიათ და რასაც დღეს სიკვდილივით ეკრძალვიან რუსი სოციალ-დემოკრატები თავიანთი ქვეყნისთვის, ის დიდი ხანია, როგორც მწარე სინამდვილე ისე არსებობს ჩვენში. როდესაც ისინი თავიანთ კონგრესებზე ცენტრალიზმის მუშტებს უღერებდენ რუსეთში მყოფ სხვა ერების სოციალ-დემოკრატებს და წინააღმდეგი იყვნენ ამ ერების გასუვერენებისა, თავისუფლებისა ისინი მაშინ თამაშობდენ იმ გერმანეთის ჯარის როლს კერძოდ საქართველოსადმი, რომელმაც მათ დაავიწყა დღეს პარტიული დოქტრინის სიწმინდე და კლასური-სოციალისტური ქადაგი. მაშინ ვერ გრძნობდენ სხვის ტკივილებს. ჩვენდა სამწუხაროდ ვერც ჩვენი სოციალისტები გრძნობენ საკუთარ ერის ტკივილებს და კლასურ ვიწრო შემეცნებას შესწირეს ეროვნული ინტერესი!.

ეხლა მაინც დროა თვალთაგან ბისტი განვაგდოთ და აშკარად თავს ვიდოთ ეროვნული ინტერესის დაცვა en grand!

ქვეყნის განწმენდის ჟამს განვიწმინდოთ ჩვენც!

## ომის გარშემო

ბალკანეთიდან დღეს შედარებით ბევრი ცნობები მოვიდა. ამ ცნობებს უმთავრესად მოკავშირე სახელმწიფოები იძლევიან და უნდა ვიფიქროთ, რომ სერბეთის შესახებ ეს ცნობები გადამეტებული არ იქნება. გუშინდელ ცნობების თანახმად ბულგარელებს მთელ სერბეთის საზღვარზე წინ წაუწევიათ. ბევრგან შუაგულამდე შეჭრილან სერბეთის ტერიტორიაზე, უკვე აუღიათ ქალაქი უსკიუბი, რომელიც შუაგულ სერბეთში სძევს ალბანეთს და ბულგარეთს შორის. ჩრდილოეთიდან მომავალი ავსტრო-გერმანელები უკვე შეერთებიან ბულგარელებს ჩრდილოეთით, მიუხედავად მოკავშირეთა მოშველებისა ბულგარებს უკვე დაუკავებიათ დიდი ადგილები: როსლიევი, ნეგოტინი და სხვ. შუაგულ სერბეთშიაც ძლიერ მიიწევენ ბულგარელები და ნიშს უახლოვდებიან. ჩრდილო დასავლეთიდანაც ავსტრიელები თანდათან შიგნით იწევენ, ასე რომ სერბეთის მდგომარეობა კვლავ თანდათან მწვავდება. მოკავშირეთა ხელის შესაშლელად და სათანადო წინააღმდეგობის გასაწევად ოსმალებს დედეაგაჩში 70.000 ჯარისკაცი გადმოუსხამთ. რიგის მიდამოებიდან გარკვეული ცნობები არ მოსულა. საერთოდ ჩრდილოეთის ფრონტზე დიდი არაფერი თვალსაჩინო არა მომხდარა რა.

თუ დაუჯერებთ კერძო ცნობებს რიგის და დვინის მიდამოები კიდევ დიდხანს გაუმკლავდებიან მტერს. მაგრამ ასეთ კერძო ცნობებზე დამყარება არ შეიძლება.

დასავლეთის ფრონტზედაც თვალსაჩინო ცვლილება არ მომხდარა.

საყურადღებოა დღეს ცნობა იმის შესახებ, რომ რუსის შავი ზღვის ფლოტმა ბულგარეთის ზღვის პირა მდებარე ქალაქ ვარნას სროლა აუტეხა. მტრის წყალქვეშა ნავებს იერიში მიუტანიათ რუსის ფლოტზე, მაგრამ ვერაფერი ზარალი მიუყენებიათ.

გი—გო.

## ქართულ საქველმოქმედო საზოგადოების გამგეობა

ამით აუწყებს საზოგადოების წევრთ, რომ მიმდინარე 1915 წლის, 18 ოქტომბერს, კვირას, დილის 10 საათზე, ახალ კლუბის დარბაზში (სასახლის ქ.) დანიშნულია წევრთა

## არაჩვეულებრივი კრება

განსახილველია: ახალი წევრების მიღება, წარსული წლის ანგარიში, გამგეობის და საზოგადოების განყოფილებათა მოხსენებანი, სიმშილობა, გამოქცეულთა საკითხი, სარევიზიო კომისიის არჩევა, ინსტრუქციის მიღება, ახალ ქართულ კულტურულ კავშირთა კავშირში მონაწილეობის მიღება და სხ. 3—3

სახელოსნოს ქალაქში სხვა განყოფილება არ მოიპოვება

## ვკისრულობთ

გადავაკეთოთ, გავწმინდოთ და ახლათ შევღებოთ საქალებო და სავაჟო **ქუდები**

სპეციალურად ვწმენდავთ სავაჟო

„კოტელოკებს" და „ცილინდრებს".

აგრეთვე ვწმენდავთ პლიუშს, ხავერდს, და ვაჟენებთ ბინგლს.

ვახუჭუჭებთ და ვწმენდავთ სირაქლემას ფრთას და ბოას.

ქუდების სახელოსნო დ. გ. გვახარიასი
გოლოვინის პროსპ. № 39.

სახელოსნოს ქალაქში სხვა განყოფილება არ მოიპოვება.

## გადაწერას საწერ მანქანის

საშვალებით და საწერ **მანქანაზე**

მუშაობის სწავლებას

ხელმისაწდომ ფასებში ჰკისრულობს

**ი. თ. გვათუას კანტორა**

ვერის დაღმართი № 1

ტელეფონი 17—05

## დოქტორი მედიცინისა

მოსე ანთიმოსის ძე

**კალანდარიშვილი**

უმფროსი ექიმი ტფ. კადეტთა კორპუსისა.

ბავშვთა, შინაგან და ქირურგიულ სნეულებიან ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე საღამოს 5—6 საათ, ოლღას ქუჩა, № 3, სახლი მელიქ-აზარიანცისა.

კბილის ექიმმა

## მამულაიშვილი

(ხოდნევისამ)

განაახლა ავადმყოფების მიღება დილის 9—3 საათ. ყოველდღე, გარდა კვირა დღისა.

ოლღას ქუჩა, № 22.

ძ. ზორში

**ექიმი** ნ. მ. კლიმიაშვილი

იღებს შინაგან და ქირურგიულ სნეულებიან ავადმყოფებს.

აკაკის ქუჩა, შეფის აფთიაქთან

ექიმი

## გ. მ. მუხაძე

იღებს სადოსტაქრო ავადმყოფთ საღამოს 5—6 საათ. მისამართი: ტატიანის ქუჩა, მიხეილის ქუჩის ახლო, სახლი 6. ზემო სართული. ტელეფონი № 3—92.

გოლოვინის პრ. და სამხედრო ქუჩის კუთხეში, ფოსტა-ტელეგრაფის პირდაპირ გაიხსნა

## ახალი აფთიაქი

პროვიზორის ახვლედიანისა

ექიმი

## გ. დ. წინამძღვრიშვილი

ყ. ორდინატორი ხარკოვის უნივერსიტეტისა სამედიცინო ინსტიტუტის კლინიკებისა გადმოვიდა თბილისში და იღებს შინაგან სნეულებიან ავადმყოფებს: გულისა, ფილტვისა და სისხლის სნეულებიანს სპეციალურად. საღამოს 5—7 საათამდე, მიხეილის ქუჩა № 36, მეორე სართული.

# ომის ამბები

## ჟურნალ-გაზეთებიდან

### სერბეთის ფრონტზე.

ავსტრიელებმა ახალი ლაშქარი შეადგინეს და დასავლეთიდან სერბეთში შეიჭრნენ, ვიშეგრადის დასაპყრობად. მძაფრი ბრძოლა ამ ხანად უშიცთან სწარმოებს. ავსტრიელებს სწადიათ აქედან კრაგუევაცზე გაილაშქრონ.

—

ავსტრიელები დუნაიზე გადასვლას განაგრძნობენ.

—

ოფიციალი ცნობით ავსტრეთის კავალერიამ დაიჭირა ვალიევო.

### იმპერ. ფრანც იოსების მანიფესტი.

ვენაში გამოქვეყნებულია ფრანც იოსების მანიფესტი, რომელშიაც იმპერატორი ჰუნგრეთის ყველა პოლიტიკურ დამნაშავეთ შენდობას უცხადებს.

### უმავთულო ტელეგრაფი.

უმავთულო ტელეგრაფი უმაღლეს წერტილამდე განვითარდა. უკვე მოახერხეს და პირველად დაილაპარაკეს პარიჟსა და ნიუ-იორკის შუა.

### სომეხთა საკითხი ინგლისში.

სომეხთა მდგომარეობის შესახებ ოსმალეთში ინგლისის პალატაში კრომერმა კითხვა აღძრა, გამორკვეულ იქმნას სიმართლე სომეხთა შევიწროებისა ოსმალეთშიო.

## უკანასკნელი ფოსტა

### სამინისტროს ცვლილება ოსმალეთში.

პარლამენტის თავმჯდომარე ხალილბეი ინიშნება გარეშე საქმეთა მანის-

ტრად, მის ადგილას ამოირჩიეს ადრიაპოლის გუბერნატორი ხაჯი-ადილ-ბეი. ჰფიქრობენ, რომ დიდი ვეზირი საიდხალილი თავის ადგილს თალაათ-ბეის დაუთმობსო.

**ინგლისელები ბალკანეთში.**

თემთა პალატაში ტენადმა განაცხადა, რომ ინგლისელები ბალკანეთში ფრანგებთან ერთად იბრძვიანო.

———

დვინის რაიონში კაიზერ ვილჰელმის მისვლას ელიან. ილუქსტას რაიონში გერმანელები დიდს ბრძოლას აპირობენ.

———

დვინის რაიონში ხუთმეტი დღეა ბრძოლა სწარმოებს. ამ ჟამად იგი ბრძოლა ფართო ფრონტზე ვრცელდება და გადამწყვეტი იერიში მოაქვთ. რიგის რაიონში მოწინააღმდეგე გადასასვლელს ეძებს.

———

სერბებმა ახლა სატახტო ქალაქი კრალიევოში გადაიტანეს.

———

მინსკის ევაკუაცია დასრულდა.

———

რიგაში „ცეპელინები“ სცდილობდნენ ხიდეების ჩანგრევას, მაგრამ მიზანს ვერ მიაღწიეს

———

ბულგარებმა დაიჭირეს როსლიევი და ნეგოტინი. სასტიკი ბრძოლა დაიწყო კნიაჟევაცის რაიონში. ავსტრიელებმა დაიჭირეს კოსმა-კასტუმევო-ოგნიევო-ალექსანდროვსკის ხაზი.

———

ბუქარესტში საალყო წესები გამოცხადდა. მეფეს ხალხი სთხოვს გამოსვლას.

———

ოფიციალად იუწყებიან, ბულგარებმა უსკიუბი აიღესო.

———

გერმანიის არმიამ გალიციის მეთაურობით მიაღწია რავიკაც-რადოფოცის ხაზს. გერმანელებმა ორშოვთან გადაჰლახეს დუნაი და ნავაბოიას მაღლობები დაიჭირეს.

———

დედეაგაჩში 70 ათასი ოსმალო მივიდა.

———

ბულგარებმა დაიჭირეს უსკიუბი და პრახოვო.

# შტაბის დეპეშები

**კავკასიის ფრონტი.** მდგომარეობა უცვლელია.

**პეტროგრადი,** 15 ოქტომბერი. ოფიციალი. დასავლეთი ფრონტი. რიგის რაიონში მდგომარეობა უცვლელია. ბაბიტის ტბის სამხრეთით ტყეში რამდენიმე ადგილას მოხდა შეჯახება მოწინავე რაზმებისა, რასაც საზოგადო მდგომარეობა ბევრად არაფრით შეუცვლია, იქსკიკლის სამხრეთით საარტილერიო სროლაა. დვინსკის რაიონში გერმანელები იერიშით ეკვეთნენ გორბუნოვკის ჩრდილო-აღმოსავლეთით პოზიციებს, პირველად რამდენიმე წყება თხრილებისა ჩაიგდეს ხელში, მაგრამ რუსთა ენერგიულ კონტრიერიშს ველარ გაუძლეს და კვლავ ძველ პოზიციებისკენ დაახევინეს. საარტილერიო ბრძოლა გრძელდება. ამ იერიშების დროს გერმანელებს დიდი ზარალი მოუვიდათ, თვით იერიშები იძულებითი იყო. დრისვიატის ტბასთან საარტილერიო ცეცხლია. სამხრეთით, პრიპიატამდე მდგომარეობა უცვლელია. მდ. სტირის მარცხენა ნაპირზე ავსტრიელები სცდილობდნენ აღმოსავლეთით გაჰრილიყვნენ სოფ. ეზერეცის აღმოსავლეთით, მაგრამ დიდის ზარალით იძულებული გახდნენ უკან დაეხიათ. ს. კამენუხასთან მთელს ღამის განმავლობაში 14 ოქტომბერს ავსტიელებმა სამჯერ მოიტანეს იერიში, მაგრამ სამჯერვე უკუგდებულ იქმნენ. ს. ბუტკი სასტიკი ბრძოლის შემდეგ რუსების ხელში დარჩა. გალიციის დანარჩენ ფრონტზე ადგილ-ადგილ ძლიერი საარტილერიო სროლაა. საზოგადოდ მდგომარეობა უცვლელია.

**ბალტიის ზღვა.** წყალქვეშამ „ალლიგატორმა“ გერმინიის ხომალდი დაიჭირა და რუსის ნავთსადგურში მოიყვანა.

**შავი ზღვა.** 15 ოქტომბერს რუსის ფლოტმა ზარბაზანი დაუშინა ვარნის სიმაგრეებს. მფრინავებმა ყუმბარები ჩამოჰყარეს სანავთსადგურო ტერიტორიაში. მტრის წყალქვეშა ნავებმა იერიშით უპასუხეს, მაგრამ ვერავითარ მიზანს ვერ მიაღწიეს.

# საქართველოს დიდი ვარამი

ერთ-ერთს ჩვენს წერილში საქართველოს უდიდეს ვერძად ვაღიარეთ ჩვენი დედა-ქალაქის ნელ-ნელი დაკარგვა. ამის მიზეზად ვასახელებდით უცხო ელემენტთა გაბატონებას, რაშიაც ასე რიგად ხელი შეუწყო ქალაქის თვითმართველობამ. ქალაქის დაბრუნება შეგვიძლიან მაშინ, თუ ეს მართველობა ქართველთ ჩაუვარდებათ ხელში, როგორც ქალაქის კანონიერ მკვიდრთ. აი, ახლოვდება ახალი არჩევნები. თქმა არ უნდა, მარტო კეთილი სურვილებით საქმე არ გაკეთდება. საჭიროა მოქმედება. დღესვე უნდა ვიფხიზლოთ და საქმე ისე უნდა მოვაწყოთ, რომ ჩვენგან, რაც შეიძლება, მეტი ხმოსანი იყოს არჩეული. უნდა ვეცადოთ, რომ ჩვენი ხმები მაინც არ გაიყოს და თანაც სხვების ხმებიც მოგვემატოს. ბლოკი სასურველ ელემენტებთან, ვინც უფრო ჩვენთან ახლოს დგანან, აგრედვე მოპოვება ახალი მექომაგეებისა, აი დღევანდელი საზრუნველი საქმე! მაგრამ ვიდრე ეს მოხდებოდეს, საჭიროა ჩვეულებრივი პარტიობა და ხმების განაწილება მოვიშოროთ თავიდან. შეთანხმება ჩვენს შორისვე, შეთანხმება და მტკიცე ერთსულოვნობა, აი რას გვიკარნახებს მომენტი!

საჭიროა საჩქაროდ იკისროს ვინმემ ამ საქმის წინ გაძღოლა. საქმის წარსამატებლად დიდი გრძნობა და რაღაც განსაკუთრებული ნიჭი არ არის საჭირო. საჭიროა საქმე დაიწყოს. რა თქმა უნდა თუ ამ საქმეს რომელიმე კულტურული დაწესებულება იკისრებს, უკეთესი იქნება და ფრიად მოხერხებულიც.

ამ დაწესებულებამ ყველაზე უმალ უნდა გაშინჯოს თვითმართველობისაგან შედგენილი და გამოქვეყნებული ამომრჩეველთა სია. საჭიროა შეიტყოს, ხომ არა არის ვინმე გამოშვებული სიიდან და საზოგადოდ სია შეავსოს ისე, რომ არც ერთი ქართველის ხმა არ დაიკარგოს.

არა ნაკლებ სიფრთხილე გვმართებს ხმები არ დავკარგოთ. საჭიროა, ვისაც კი ხმა აქვს ბარათები დავურიგოთ და აღვნიშნოთ ხმოსნების კანდიდატები. ყველა ეს [illegible] საქმე დროით უნდა მოხდეს და უნდა ჩაბარებული ჰქონდეს მარჯვე კაცს, რომელიც თავის მხნეობით და გამჭრიახობით ყველა ქართველს აღუძრავს სურვილს დაესწროს არჩევნებზე. ყოველთვის წინასწარი მზადება, მოქმედება, წინასწარვე ნიადაგის განმტკიცებაა საჭირო, რომ როგორმე თავი დავაღწიოთ დღევანდელ მდგომარეობას.

ჩვენდა საუბედუროდ ჩვენი ნივთიერი მდგომარეობა გვაიძულებს ხანდახან საზოგადო ინტერესს აუხვიოთ ხოლმე და ჩვენი კერძო იტერესი საზოგადო ინტერესზე მაღლა დავაყენოთ. მაგრამ სწორედ ეს ჩვენი ვარამი, ჩვენი დედა ქალაქის მართველობის საქმე მოითხოვს, რომ ჩვენ თითქმის გმირობა გამოვიჩინოთ და მივატოვოთ ჩვენი კერძო ინტერესი, ჩვენი ცხოვრების ნივთიერი მხარე. საჭიროა, რომ ჩვენ მოქმედებას ჩვენთვის სარგებლობის მხრივ კი არ უყურებდეთ, არამედ საზოგადო საქმის სარგებლობის მხრივ. ამიტომ ამ დიდ საქმისათვის არ უნდა დავიზაროთ ჩვენი სარგებლობის შეწირვა საზოგადო საქმისათვის. საჭიროა განწირვა და კერძო საქმის დაქვეითების მოთმენა. ყველა ეს საჭიროა იმ დიადი საქმისათვის, რომელიც აუცილებლად უნდა გავაკეთოდ, რომელსაც მიჰყავს ჩვენი ცხოვრება ჩვენთვის სასარგებლო და საბედნიერო კვალისკენ. ცხადია, ჩვენი მოწინაღმდეგენი ეცდებიან, რომ ჩვენგან აირჩიონ ის, ვინც უფრო უხეიროა ჩვენში, პიროვნება დაკარგული. მაგრამ ჩვენ ყველა ღონისძიება უნდა ვიხმაროთ იმის წინააღმდეგ და ადგილი დაუთმოთ იმათ, ვინც უფრო გამოსადეგია ჩვენს საქმისათვის, ვინც უფრო გამჭრიახ დარაჯად მოევლინება ჩვენს ცხოვრებას. ჩვენ ღრმად ვართ დაწმუნებული, ქართველი ერი სრულს კეთილგონიერებას გამოიჩენს ამ არჩევნებში.

გო—გი.

# საზოგადოებანი და კრებები

**ქართული სახოფლო-სამეურნეო საზოგადოება.**

15 სექტემბერს, თავ. დ. ე. ჩოლოყაშვილის თავმჯდომარეობით, შესდგა საზოგადოების საბჭოს კრება. თავმჯდომარემ მოახსენა კრებას, რომ მთავრობა დაუზარებლად აძლევს სოფლელებს საიმპერიო საკვებ თანხიდან სესხს 4 წლით და სარგებელსაც არ თხოულობს, მხოლოდ საჭიროა შესაფერისი შუამდგომლობის აღძვრაო. თავადმა ჩოლოყაშვილმა მაგალითებიც დაასახელა, საიდანაც ნათლად სჩანს, რომ ასეთი სესხის გამოტანა შეუძლებელი არ არის, მაგრამ თბილისის [illegible] ჯერ ერთხელაც არ აღუძრავს შუამდგომლობა ამ საგნის შესახებ. წეს-რიგი შუამდგომლობისა, როგორც თავმჯდომარემ განმარტა, ასეთია: 1) ესა თუ ის დაზარალებული სოფელი, ადგილობრივ მომრიგებელ შუამავლის თანადასწრებით, საერთო განაჩენს ადგენს, რომელშიაც აღნუსხული უნდა იქმნეს საყანე ადგილების (სათეს მინდვრების) ზომა, მცხოვრებთა რაოდენობა, ჭირნახულის მოუსავლობის მიზეზები და სესხის რაოდენობა. 2) მომრიგებელ შუამავლის მიერ შემოწმებული ასეთი განაჩენი უნდა წარედგინოს სამაზრო გადასახადების გამწერ საკრებულოს (Уѣздное поземельно-раскладочное присутствіе), 3) ამ უკანასკნელის მიერ შემოწმებული განაჩენი წარედგინების საგუბერნიო გადასახადების გამწერ საკრებულოს, 4) შემდეგ იგივე განაჩენა მიდის მეფის ნაცვლის კანცელარიაში დასამტკიცებლად და ამის შემდეგ სესხი ეძლევა სოფელს.

საბჭომ დაადგინა, პროცედურა შუამდგომლობისა დაიბეჭდოს ცალკე ფურცლებად და დაეგზავნოს სოფლებს. ამასთანავე კრებაზე სურვილი გამოითქვა, რომ სოფლის კოოპერატივებმა და საერთოდ ინტელიგენციამ ყურადღება იქონიონ, რომ აღებული სესხიდან ფული ისეთებს არ ერგოსთ, რომელნიც გასაჭირს არ განიცდიან, განსაკუთრებით კი ისეთებს, რომელნიც ბოროტად მოიხმარენ ფულს, როგორც მაგალითად სარგებლით ფულის გასესხება და სხ.

შემდეგ საბჭომ მოისმინა საზოგადოების აგრონომის ელ. კარბელაშვილის წერილობითი განცხადება, რომელიც იუწყება, რომ ქართლის კოოპერატივთა ბიურო ჩრდილო კავკასიაში მგზავნის საკვებ მასალას სასყიდლად და წავიდე თუ არაო. ამის შესახებ კრებამ დაადგინა, რომ თუ მიუცილებლად საჭიროა უთუოდ კარბელაშვილის გაგზავნა, ნება მიეცეს წასვლისაო. შესახებ ზუგდიდის მაზრის კოოპერატივთა ბიუროს შუამდგომლობისა, რომ 5.000 ფუთი სათესლე ხორბალი გვიშოვეთო, კრებამ დაადგინა ეცნობოს ხსენებულ ბიუროს, რომ სათესლე ხორბლისათვის მიმართოს ქართლის მემამულეთა ამხანაგობას გორში.

დასასრულ დადგენილ იქმნა ეთხოვოს საზოგადოების ტეხნიკურ სექციის წევრს ინჟენერ პ. გ. მამრაძეს, რომ დააჩქაროს ალაზნიდან არხის გაყვანის საქმე

# შემოსევა საქართველოში არაბებისა მე-8 საუკუნეში (698–739 წ.)

(გაგრძელება. იხ. საქართ." № 117)

ოღონდ კათალიკოზ ბასილისგან შენახული ცნობა ამ გარემოებას ციხის და მეციხოვნეების სიმტკიცეს კი არ მიაწერს, არამედ შიომღვიმელის სასწაულს და მოგვითხრობს, რომ არაბის ჯარი მტკვარს რო გავიდა, მთელი დღე წინდა-უკან დადიოდენო და იმ სიმაგრეებს ვერ მიაგნესო, გზა-კვალი დაებნათ და ამით მიხვდენო, რომ ეს წმიდის შიოს სასწაულით იქმნაო.

მაშინ ომარ და ბურული გაეცალნენ სარკინეთსა „და წარვიდენ; და რა ჟამს მიიწინეს წინაშე აჰმადისა (გორს დაბანაკებულისა), **ხადა შეკრბებიან ორნი მდინარენი, მტკვარი და ლიახვი, რამეთუ მუნ დაებანაკა,** ჰრქვეს მას, რაჲ იგი იხილეს სასწაული წმიდისა შიოსი".

მაშინ აჰმადმა ხელმეორედ სარკინეს ასაღებად დიდი ჯარი გაგზავნაო, როგორც მოგვითხრობს თანამედროვე ამ ამბავისა იმავე კათალიკოზის ბასილის პირით: სპასპეტად ახლაც ისევ ომარ და ბურული იყვნენო. ესენი ბევრს ეცადნენ, მაგრამ სარკინე ვერ აიღეს, რადგან მტრის ლაშქარმა „იხილა მღვიმე დაცული გუნდთაგან ანგელოზთა". გაოცებული დარჩა ომარ, ნახა ძლიერება ქრისტიანობისა და იქვე საიდუმლოდ ასეთი აღთქმა მისცა შიოს საფლავს: როგორც კი შევსძლებ არაბთა ჯარისაგან გამოპარვას, მოვინათლები და ამ ბერებთან ღვთის დიდებას შევუდგებიო. მართლაც გააოცებდა ომარს ის მხნეობა და საოცარი თავდადებულობა ერთი მუჭა ქართველებისა, რომელიც ასე გაკაჟებით ებრძოდა იმ დროს მთელის ქვეყნის მრძანებელ ერს, მისს რჩეულ მხედრობას, აჰმედის აუარებელს ლაშქარს. განა ეს მართლა საოცარი არ არის და არაკად მისაჩენი, რომ ისტორიული სიმართლე არ იყოს?

უეჭველად ომარზე დიდი შთაბეჭდილება იქონია ქართველ მეომართა საარაკო გმირობამ იმ განუწყვეტელ ბრძოლაში მეფე სტეფანოზთან სომხეთის საზღვრიდან დაწყებული სარკინის ციხემდი, თვალით დაინახა ერთი მუჭა ქრისტიანების გასაშტერებელი ძლიერება. და აი, ამან აფიქრებინა ამავე სპასპეტს, რომ ქრისტიანეთა ღმერთი ძლიერია და სარწმუნოება მათი ჭეშმარიტი. სარკინეთში მომხდარი ამბავი ხომ მას მართლა დიდ სასწაულად დაესახებოდა და ამან კიდეც საბოლოოდ მოაქცია ომარი.

ომარმა თავისი დაპირება მართლა შეასრულა. არაბები თავსა სჭრიდენ ყველა მაჰმადიანს, ვინც თავის სჯულს დატოვებდა. ამიტომ ომარი აჰმადის ჯარს **გამოეპარა** ორის მისის თანამოაზრე ჯარისკაცებით და სამნივე შიოს მონასტერში მოინათლნენ. აქვე ბერად შედგა ომარი ნეოფიტის სახელით; მისს მხლებელთაგან ერთს დაარქვეს ხრისტადული და მეორეს ქრისტეფორე, როგორც მოგვითხრობს იმავე კათალიკოზისაგან პოვნილი თანამედროვესაგან შედგენილი ისტორიული წერილი. ომარ-ნეოფიტემ სახელი გაითქვა წმიდა ცხოვრებით და კათალიკოზ სამოელის დროს მიიღო ეპისკოპოსობა ურბნისისა. ეს კათალიკოზი მართლა ცხოვრობდა სტეფანოზის მეფობის უკანასკნელ წლებს (728—735 წ. ახ.). და ეს გარემოებაც ხომ უეჭველ ჰყოფს მოხსენებულ ისტორიულ წერილის სიმართლეს [5]), რომელსაც ნათელი შეაქვს იმ დროინდელ დიდ-დიდ, მაგრამ ბნელს ამბებში. უამ წყაროდ თითქმის შეუძლებელია კაცმა გაიგოს სომხის მემატიანის გევონდის (და სხვათა), ამ ამბების თანამედროვის, ნაწყვეტ-ნაწყვეტი ცნობები შესახებ აჰმადის შემოსევისა საქართველოში.

ომარ და ბურულ რომ მტკვრის მარჯვენა ნაპირისკენ მიიწეოდენ, იმავე დროს თვითონ აჰმადი სტეფანოზ მეფეს ებრძოდა ჯერ კასპის ციხეს შეფარებულს, მერე, როგორც საგულისხმებელია, უფლის-ციხეში [6]). ბოლოს, შემდეგ ხანგრძლივის სისხლის ღვრისა, აქიდანაც გაუსხლტა აჰმადს მეფე და გორის ციხეში შეიჭრა თავისის ლაშქრით; აჰმადიც გაედევნა მას და დაბანაკდა, ბასილ კათალიკოზის თქმით, იქ, სადაც მტკვარს ლიახვი უერთდება, ე. ი. გორის ციხის გარშემო. იმ დროს გორის ციხე მტკვრის და ლიახვს შუა იყო (ლიახვი აღმოსავლისკენ უვლიდა) და წარმოადგენდა მტკიცე სიმაგრეს, ამ სიმაგრემ გააჩერა აქ აჰმადიც, სანამ ომარ-ბურულის ჯარი არ შეუერთდება; აქ გვიჩვენებს დაბანაკებულს აჰმათის ლაშქრობას უცნობ თანამედროვის ისტორიული წერილი, შენახული კათალიკოზის ბასილისგან. ეს ციხე ჯერ ხომ ბერძნის მხედართმთავარმა „მეფე ერეკლემ" გაამაგრა; ახლა, ბერძნების წასვლის შემდეგ, სტეფანოზ მეფემ მეორედ მომზადა საზარელ მტრის დასახვედრად. ციხე იმ დროს ვრცელი იყო; დღეს რო გორის ციხის ნაშთია, ის იმ დროს მარტო მისი „თავი" იყო ანუ ესრედ წოდებული ციტადელი. ციხის თავიდან მტკვრის და ლიახვის ნაპირებამდი ჩამოდიოდა წვრილი ციხის შენობანი ზოგი ქვიტკირისა, ზოგიც მუხის ხეებისაგან ნაშენი. შიგ გამწარებულ-გალომებული ქართველი მეომარნი ისხდნენ, რამდენსამე წლის სურსათი ჰქონდათ და შიგ ციხეში წყალიც.

რა თქმა უნდა, ამისთანა სიმაგრის აღებას აჰმადი კარგა ხანსაც მოანდომებდა და ბევრს მეომარსაც შესწირავდა. აქ დიდი სისხლის ღვრა იქნებოდა ქართველ-არაბებს შუა. მაგრამ ამაზე არას გვეტყვის მოხსენებული ისტორიული წერილი თანამედროვისა; ამას თავისთავად გვაგულისხმებს ბუნებრივი მიმდინარეობა ისტორიისა, ეჰვ მიუტანელი ლოღიკური დასკვნა იმ მოკლე ცნობისაგან, რომელიც შეუნახავს ბასილ კათალიკოზს. ეს ისტორიული წერილი ასე მოკლედ მოგვიჭრის იმ დროის ქართველთა ტრაღიკულ ბრძოლის ამბებს: **„ტყვე ჰყვეს** (აჰმათის ლაშქრობას) **ყოველი ქართლი ვიდრე მთამდე არგვეთისა, ყოველი ოხრებასა მისცეს".**

არგვეთის მთად იწოდებოდა ლიხ-აჭარის მთა. მაშასადამე მოხსენებული წერილი, თანამედროვესაგან დაწერილი, იმას გვეუბნება, რომ აჰმადს გორის ციხის აღების შემდეგ, ლაშქრობა გაუგრძელებია და მთელი ქართლი გაუოხრებია ლიხ-აჭარის მთის სამხრით: ზემო-ქართლი, მესხეთ-შავშეთ-ტაო-კლარჯეთი შავის ზღვის კიდემდი.

რომ აჰმათს აუოხრებია ტაო-კლარჯეთ-მესხეთი, ამას ამოწმებს სომხის აჰმადის თანამედროვე მემატიანეც გევონდი, როგორც ქვემო ვნახავთ.

რა თქმა უნდა, სტეფანოზ მეფე გორის აღების შემდეგაც ბოლომდი იმავე გეგმას მისდევს, რომელსაც აქამდი ადგა, ე. ი. მეფე როგორც გამოცდილი ძველი მელა, ხან ერთს ციხეს მიახეთქებინებს თავს ახმადს, ხან მეორეს; თვითონ კი უვნებელად ხელიდან გაუსხლტება საზარელ მტერს. აქ, გორში რომ საკმაო მტრის სისხლი დააქცია, ახლა ურბნისის ციხეს თავი მიახეთქებინა აჰმათს; მერე იქიდან გამოპარული მეფე აწყვერს შეიტყუებს მისს მდევარს მტრის ლაშქრობას; აქაც რომ მტერს ზარალი მისცა, დიდებულ ოძრახის (ოცხის) ციხისკენ (ახლანდელ აბასთუმანს ახლო) გასწევს სტეფანოზის ლაშქარი და აქ ხომ უფრო დიდი ზარალი მოუვიდოდა მტერს, რომელსაც ჩვენი მემატიანე არ აგვიწერს, და ისევ გაუსხლტება განზე: ოძრახიდან სტეფანოზს პირდაპირი გადასასვლელი გზა წინ უდევს იმერეთისკენ. მაგრამ გენიოსი მეფე იქით არ მიდის— გვერდზე გაუხტება და სამცხე-კლარჯეთის კლდე ღრეებისკენ ნელნელა გასწევს; აქაც მაგარი ციხეები ეგულება (თუხარი, არტანუჯი და სხ.). აჰმადიც მას მისდევს კვალდაკვალ, სანამ ამ მიუვალ კლდეღრანტიან ჯოჯოხეთში სტეფანოზ მეფის ოსტატობა საფლავს არ გაუთხრის აჰმათის ძლიერებას და თავზარს არ დასცემს მისს აქამდი უძლეველ ლაშქარს.

მაგრამ აქ ცოტა ხან შევდგეთ. როდესაც აჰმადი ოძრახის (ოცხის) ციხეს შემოადგა და განუწყვეტელი შეტაკება ჰქონდა მეფე სტეფანოზთან, ამ დროს აქ ერთი სამწუხარო ამბავი მოხდა, რომელმაც საგრძნობელად დაასუსტა ქართველ ლაშქრობის ძალა. ამ ამბავს აღწერს თანამედროვე გევონდი და ყველა სომხის მემატიანებიც იმეორებენ მის ნათქვამს.

როგორც ზემო ვთქვით, სომხეთა მთავარი, კუროპალატი სუმბატ, სომხეთიდან გამოქცეული თორმეტ ათასის ჯარით 705 წელს, ჯერ კლარჯეთს შეეხიზნა და თუხარის ციხეში დააყენა სტეფანოზმა, სანამდინ კეისრის ტიბერის ბრძანება მოვიდოდა, რომლითაც სუმბატს და მისს ჯარს ნება მიეცა ფოთის ციხეში გადასულ იყვნენ. აქ ხომ სუმბატს ულუფა და ჯამაგირიც დაენიშნა კეისრისაგან და ქართველ მეფისაგანაც წყალობა ჰქონდა.

ახლა, რაკი 711 წლის გაზაფხულს, როდესაც არაბთა ლაშქრობა იმერეთის გადასასვლელ გზაზე იდგა, აჰმათმა სუმბატის თავისკენ გადმობირება მოინდომა. ეს სულთანს ძნელი საქმე ეგონა და ამიტომ ამისი მოხერხება მიანდო სომხეთის ემირს ანუ მმართველს არაბს აუდელოზის. ეს იყო ისტორიაში ცნობილი მეტად ხელოვანი დიპლომატი.

(შემდეგი იქნება)

თ. ჟორდანია.

---

[5]) უფრო ვრცლად ჩვენი განმარტება იხ. „ქრონიკები" I, 343—4.

[6]) კასპის ციხეც, როგორც სარკინისა და უფლისციხისა, კლდეებში ყოფილა ჩაჭრილი. ერთი რიგი ქვაბებისა მისდევდა მწკრივად ახლანდელ სოფლის კასპის ბოლოდან აშურიანის მინდვრის თავზე ნათლისმცემლის უდაბნომდი. მეორე მწკრივი გამოქვაბული ყოფილა მაღალ მთების ფერდოებში 3—4 ვერსის სიგრძეზე და დასავლეთის მისი კვალი დასცქერის იმავე უდაბნოს. პირველი მწკრივისაგან კვალი-ღა დარჩენილა ორ-სამგან და ისინიც ჩამოქცეულები (ცნახე 1889 წ.); მეორე მწკრივისაგან უმეტესი ჩამორეცხილა ან ჩანგრეულა.

და ამ საქმის შესახებ მოლაპარაკება გამართოს კახეთის კოოპერატორებთან, რომელნიც დაინტერესებულნი არიან არხის გაყვანაში.

**ქართულ კულტურის მოყვარულთა საზოგადოება.**

15 ოქტომბერს, გ. თ. ჟორდანიას თავმჯდომარეობით, შესდგა საზოგადოების წევრთა კრება. ხალხი მრავლად დაესწრო. კრებამ ფეხზე ადგომით პატივი სცა საზოგადოების წევრის ი. ნატროშვილის ხსოვნას. შემდეგ ა. ახმეტელმა წაიკითხა მოხსენება ქართულ თეატრის შესახებ. მოხსენება მრავალ მხრივ საინტერესო იყო. კამათის დროს საკმაოდ იქმნა დასურათხატებული ქართული თეატრის ეხლანდელი მდგომარეობა, კრებამ სურვილი გამოსთქვა, რომ ქართულ თეატრის აღმადგენელმა კომიტეტმა ყოველივე ღონე იღონოს საქმის განსახორციელებლად. აგრეთვე დადგენილ იქმნა ეთხოვოს სახალხო სახლთან არსებულ სექციებს, რომ რამდენიმე დღე დაუთმინ ქართველ მსახიობთა გუნდს წარმოდგენების გასამართად. არჩეულ იქმნა საგანგებო კომისია, რომელსაც დაევალა კრების დადგენილებათა დაწერა.

**ქართული საქველმოქმედო საზოგადოება.**

საზოგადოების გამგეობამ 15 ოქტომბერს დაადგინა: 1) გურიისა და ფოთის კოოპერატივთა წარმომადგენლების კრებაზე, რომელიც ოზურგეთში უნდა შესდგეს 21 დეკემბერს, საქველმოქმედო საზოგადოების წარმომადგენლად გაიგზავნოს გ. ცინცაძე; 2) ქართველ მაჰმადიანთა შესახებ ბ-ნ ს. ფირცხალავას ლექცია, რომლის წმინდა შემოსავალი დანიშნულია საქველმოქმედო საზოგადოების სახსრის გასაძლიერებლად, გაიმართოს „ახალ კლუბში“ 25 ოქტომბერს; 3) ქ-ნ ან. გ. წერეთლისას, რომელიც დახმარებას სთხოვს საზოგადოებას „ჯეჯილი“-სა და სახალხო წიგნების გასაგზავნ ხარჯების დასაფარავად ქართველ მაჰმადიანთათვის, მიეცეს 25 მან.; ამდენივე ფული მიეცეს იმავე საგნისთვის წ.-კითხვის საზოგადოების გამგეობას; 4) განმეორებით ეთხოვოს ა. ი. ყიფშიძეს, რამდენადაც შესაძლოა, დააჩქაროს მოხსენების შედგენა დასავლეთ საქართველოს მდგომარეობის შესახებ; 5) ომის გამოცხადების შემდეგ უცხოეთში ჩარჩენილ ქართველებს, რომელნიც ქონებრივად დიდს გასაჭირს განიცდიან, მიეცეთ საზოგადოების თანხიდან 400 მანეთი და მიემართოს ქართველ საზოგადოებას იზრუნოს მათ შესახებ; 6) რაც კი რამ ცნობები მოეპოვება საზოგადოებას საერთოდ ქართველ გადმოხვეწილთა შესახებ, გადაეცეს მთელ რუსეთის ქალაქთა კავშირის კავკასიის განყოფილებას და კიდევ დამატებითი ცნობები შეიკრიბოს ამავე შესახებ; ამასთანავე ეთხოვოს საზოგადოების განყოფილებებს, რომ დაუყონებლივ შეკრიბონ ყოველგვარი ცნობები ხსენებულ გადმოხვეწილთა შესახებ და წარმოუდგინოს მთავარ გამგეობას; 7) დამტკიცდეს საზოგადოების წევრთა საერთო კრების წეს-რიგი.

გამგეობის კრებას დაესწრო თბილისისა და დუშეთის მაზრების წვრილ საკრედიტო დაწესებულებათა ინსპექტორი დ. ყ. ჩხეიძე, რომელმაც განაცხადა, რომ ხსენებულ მაზრებში საჭიროება დიდია საკვებ-სათესლის მხრივ. კოოპერატივები ზოგან სრულებით არ არსებობს, ხოლო რაც არსებობს, მათი შეკავშირება ჯერ-ჯერობით მოუხერხებელიაო. ამიტომ მისის, ბ-ნ ჩხეიძის, რჩევით, დუშეთის მაზრის ერთი ნაწილი კახეთის კოოპერატივთა კავშირისაგან იყიდის საკვებს, მეორე ნაწილი გორის მაზრის კავშირიდან, ხოლო მესამე ნაწილი საქველმოქმედო საზოგადოების კონტრაგენტის ი. რ. მიქაძისაგან. გარდა ამისა ბ-ნს ჩხეიძეს ივრის ხეობის ზოგიერთ სოფლისათვის 5—6 ვაგონი ფქვილი უთხოვია არსებულ ფასებში თბილისის ქალაქის გამგეობისათვის და ამ უკანასკნელს აღუთქვამს თხოვნის დაკმაყოფილება. ბ-ნ ჩხეიძის განცხადება მოიწონა და მხედველობაში მიიღო კრებამ.

# ახალი ამბავი

**საგანგებო კრება.** ხვალ უნდა შესდგეს „ახალი კლუბის“ წევრთა საგანგებო კრება, რომელსაც კლუბის მამასახლისთა საბჭოს მიერ განსახილველად წარედგინების, სხვათა შორის, შემდეგი პროექტი, რომლის მიხედვით, ახალი კლუბი ჰპირდება ქართულ დრამატიულ საზოგადოებას სუბსიდიას თვეში 400 მ.

გაზ. „საქართველოს“ რედაქცია

**აუწყებს თავის მკითხველებს, რომ 20 ღვინობისთვიდან გაზეთი „საქართველო“ გამოვა გადიდებულ ფორმატით და უკეთეს ქაღალდზე.**

მოწვეულნი არიან საუკეთესო ქართველი მწერლები.

გაზეთს ჰყავს მუდმივი კორესპონდენტები საქართველოს გარედ: **პარიზში** (საფრანგეთი), **ლონდონში** (ინგლისი), **პეტროგრადში, მოსკოვში და კიევში.**

ადგილობრივად: **ბათომში, ქუთაისში, ზუგდიდში, ოზურგეთში, გორში, თელავში, სიღნაღში, ახალციხეში, ართვინში, ყარსში და საქართველოს ყველა დიდ სოფლებში.**

განსაკუთრებული კორესპონდენტები **აჭარა-შავშეთ-იმერხევიდან და კავკასიის ბრძოლის ველიდან.**

და ყოველ კვირაში წარმოდგენის გასამართავად კლუბის სცენაზე 100 მანეთს, სულ, მაშასადამე, თვეში 800 მანეთს. მაგრამ პროექტით, ამ ფულს მხოლოდ იმ პირობით აძლევს კლუბი დრამატიულ საზოგადოებას, თუ იგი მსახიობთა დასს შეადგენს და სისტემატიურად წარმოდგენების გამართვის საქმეს მოაწესრიგებს. ამასთანავე ლაპარაკობენ, ვითომც მსახიობთ აზრად ჰქონდეთ სთხოვონ კლუბის ადმინისტრაციას, რომ სუბსიდია პირდაპირ მათ მიეცეს დრამატიულ საზოგადოებასთან დამოუკიდებლად.

**გაჭირვება სოფლად.** როგორც ჩამოსულებმა გვიამბეს, ერწოს ხეობაში (თიანეთის მაზრა) განსაკუთრებით სოფ. ორხევში, ენით გამოუთქმელი გაჭირვებაა საკვების უქონლობის გამო. ტყის ხილიც, მაჟალო, ზღმარტლი და სხ., სრულებით არ ყოფილა წელს. ამის გამო ტყის ნადირი სოფელს აწყდება და თუ რამ პირუტყვი შერჩენია სოფელს, მუსრს ავლებს. სოფლელები ამ დღეებში აპირობენ თურმე თბილისში ჩამოსვლას, რათა დახმარება სთხოვონ ქართულ საქველმოქმედო და სასოფლო სამეურნეო საზოგადოებათ.

**ქართველ მოღვაწეთა აგარაკი.** ქართულ კულტურის მოყვარულთა საზოგადოების საბჭომ სპეციალი კომისია აირჩია, რომელსაც ქართველ მოღვაწეთა აგარაკის ასაშენებლად საჭირო თანხის შეგროვება დაევალა. კომისიის პირველი სხდომა გაიმართა ოქტომბრის 13-ს. კომისიის თავმჯდომარედ ერთხმად არჩეულ იქმნა ალ. სვ. ლორთქიფანიძე, მის თანაშემწედ ერ. ესტ. ფურცელაძე და მდივნად ვას. ფარნ. ყიფიანი. კომისია უკვე შეუდგება ფულის შეგროვებას.

**ნამალევი კვერცხები.** ქალაქის გამგეობის აგენტმა ე. გ. ლომიძემ აღმოაჩინა კვერცხებით სავსე დამალული ოცი ყუთი. თითო ყუთში აღმოჩნდა 1,550 ცალი კვერცი. რამდენიმე ყუთი ქალაქის ლაზარეთებში გაიგზავნა, დანარჩენები ბაზარში გაჰყიდეს არსებულ ნიხრის მიხედვით.

**საქველმოქმედო წარმოდგენა.** 19 სექტემბერს, მეხუთე სავაჟო გიმნაზიის მშობელთა წრის თაოსნობით, სახალხო სახლში გაიმართება წარმოდგენა, რომლის შემოსავალი დანიშნულია ხსენებულ გიმნაზიის ღარიბ მოსწავლეთა სასარგებლოდ.

**დაჯილდოვება.** სტანისლავის მესამე ხარისხის ჯვრით, ხმლით და ლენტით დააჯილდოვეს თავადი შერვაშიძე.

**სურსათი.** 15 ოქტომბერს თბილისში მოტანილი იყო: ფქვილი 7 ვაგონი, ხორბალი 1 ვ., სიმინდი 2 ვაგ., ფხვნილი შაქარი 2 ვაგ., მარილი 2 ვაგ. კარტოფილი 2 ვაგ.. შეშა 9 ვ., ნავთი 6 ვაგ., ღვინო 1 ვ.

**ხოლერა.** 15 ოქტომბერს ქალაქის ლაზარეთში მიიყვანეს ხოლერიანი 1 კაცი. გარდაიცვალა 1 კაცი. გუშინ, 16 ოქტომბერს, ლაზარეთში იმყოფებოდნენ ხოლერიანი 75 და ხოლერის ნიშნებით 1 კაცი.

**გადამდები სენი.** გუშინ, 16 ოქტომბერს, ქალაქის საავადმყოფოში იწვნენ: ქუნთრუშიანი 92, სახადიანი 61, საოფლიანი 37, ხუნაგიანი 20, მუცელაიანი 5 და ყვავილიანი 2 კაცი.

# უცხოეთის პრესა

**საბერძნეთის შესახებ**

პარიზის კორესპონდენტი ატყობინებს „Stock Fld.“ რომ საბერძნეთის იმედი სრულიად დაკარგული ნუ გვექნებაო. მან ჯერ კიდევ სავსებით არ უარჰყო ინგლისის წინადადება კიპროსის მიღებაზე და ახალს წინადადების მოლოდინშია. ინგლისი წინადადებას აძლევს საბერძნეთს არა მარტო კიპროსს მიიღებ და ბულგარეთის სანაპიროებს ენოსამდე, არამედ იონიის კუნძულებს და სმირნასაო. ამის შემდეგ საბერძნეთს ომში ჩარევის სურვილის მეტი არა რჩება რა. ოღონდ მოლოდინშია, რომ რამდენადმე მაინც ზურგი ჰქონდეს გამაგრებულიო.

„Matin“-ი სწერს, რომ საბერძნეთი და რუმინეთი იძულებული გახდებიან ოთხთა კავშირში შევიდნენ თუ საფრანგეთი და ინგლისი საკმაო ჯარებს გადმოსხავს ბალკანეთშიო. რაც შეეხება განსაკუთრებით საბერძნეთს, თუ არ მიემხრობა მათ, იგი დაჰკარგავს ყოველისფერს და სრულიად უმწეო მდგომარეობაში ჩავარდება ინგლისს-საფრანგეთ-იტალეთის ფლოტის რისხვის წინაო.

იტალიის ჟურნალ-გაზეთობა იუწყება: თუ საბერძნეთთან ჩვენდა სახეიროდ არ დამთავრდა მოლაპარაკება, მაშინ გადაჭრით უნდა ვიმოქმედოთო.

„Eclo de Paris“ დაბეჯითებით ამტკიცებს, საბერძნეთმა ხმა უნდა ამოიღოს ბულგარეთის წინააღმდეგ, თუ არ ჰსურს, რომ მომავალში ამ სახელმწიფომ არ ჩაახშოს მისი სიცოცხლეო.

„Times“-ი რისხვით ხაზს უსვამს, მოკავშირეთა ჯარები სალონიკში გადმოვიდნენ ვენიზელოსის ფორმალურ ნებართვითო. ჩვენ უნდა გარანტია გვქონდეს, რომ საბერძნეთის კაბინეთის შეცვლა—ოპერაცია რაიმე გავლენას არ იქონიებს.

„Daily Telegr.“ იუწყება, რომ ინგლისელთა რაზმები უკვე სერბიელთა ჯარებთან ერთად იბრძვიანო.

# პროვინციის ქრონიკა

**ქუთაისი.**

ამინდები საოცრად შეიცვალა, ეს რამდენიმე ხანია გამუდმებით წვიმს.

**თელავი.**

აქაური ოთხკლასიანი სკოლა გადაკეთდა ექვსკლასიანად, სასტატო სემინარიის უფლება-პროგრამით.

**სოფელი შილდა.** (კახეთი).

აქ ახლო მომავალში გაიხსნება კოოპერატიული დუქანი. ხალხი დიდის სიფხიზლით და ხალისით ეკიდება კოოპერატიულ დაწესებულებას.

**ნანეიშვილის საზოგადოება.**

აქაურ დამშეულ ხალხს საიმპერიო დახმარების თანხიდან 866 მცხოვრებნი სიმინდს ძლიერ უწესრიგოდ ღებულობენ, ხშირად მათ უხდებათ დაბარებულ ადგილს მისვლა, განუსაზღვრელი ლოდინი, და სიმინდს მაინც ვერ იღებენ. ეს ყველა აიხსნება ადმინისტრაციის დაბალ მოხელეთა თვითნებობა-ქინიანობით. საჭიროა ასეთ მოვლენას ყურადღება მიექცეს და ხალხს თუ დაეხმარებიან, ბარემ თავის დროზე მიეშველნენ.

— ძარცვა-გლეჯა ჩვენ საზოგადოებაშიც ფეხს იკიდებს, ამას წინად გაძარცვეს ადგილობრივი გლეხი ან. ლიპერთელიანი.

— სიძვირეზე ლაპარაკი ზედმეტია, ან რა ენაღვლებათ ჩარჩებს როგორც უნდათ ისე თარეშობენ ანგარიშს ვინ გაუწევს? დღეს თუ 10 კ. ღირს გირვანქა ნავთი, ხვალ 30 კაპ. გახდიან.

**შარცხანაყანევი.** (იმერეთი).

აღიძრა საკითხი უმაღლეს პირველ დაწყებითი სკოლის დასაარსებლად.

**სადგური სუფსა.**

აქ აპირებენ სამოქალაქო სასწავლებლის გახსნას, მახლობელი სოფლები სიხარულით მიეგებნენ ამ დადგენილებას.

**დაჭრილი და ავადმყოფი ჯარისკაცნი.**

თბილისის ლაზარეთებში იმყოფებიან შემდეგი ქართველი ჯარის კაცნი: ასათიანი ილიკო სარდიონის ძე, ბუაჩიძე იასონ ბესარიონის ძე, გირგალიძე ირაკლი ევნატეს ძე, მერაბაშვილი არტემ დაროს ძე, ანთაძე ნიკოლოზ ქრისტ., გულასურია ტერენტი გიგოს ძე, ტორაძე ვარლამ ლუკას ძე, პაპიძე ვლასი სოლომონის ძე, გოპაძე თედორე სოლომონის ძე, ფარნიაშვილი ანდრო დათას ძე, მაზოშვილი კონსტანტინე სტეფ., ჭუბმბურიძე გიგო ნიკოლოზის ძე, მუმლაძე ლუკა ალექსის ძე, ოგვისტრაია კ. იაკობის ძე, სოხაძე ნიკო სოლომონის ძე, გუგუჩაშვილი კონსტანტინეს ძე, კოტიაშვილი იასონ ანდრიას ძე, კვირიკაშვილი გიგო პავლეს ძე, კიკვაძე კონსტანტინე იორდანეს ძე, ოქრომჭედლიშვილი ზაქრო, მესხი ლუკა სოლომონის ძე, თავგაშვილი ალექსი, ცინდავა პ. ხოსროს ძე, ჯიქია კონსტანტინე ივანეს ძე, კუპრავა აკაკი ვასოს ძე, ზაუტაშვილი ალექსი მათეს ძე, მელიქიძე ვასილ დიმიტრის ძე, უმიკაშვილი დათა ალექსის ძე, ბიბილური მიხაკო ივანეს ძე, გუდავაძე ირაკლი გლა., ციკლაური მიხაკო აბრ., რაზმიაშვილი დიმიტრი გიორგ., შალხაშვილი სიმონ საბ., ნათაიშვილი ანტონ., ფერენაშვილი ზაქრო, კაკაშვილი ალექსანდრე, კოპულაძე ივანე ანდრას ძე, კაპადაძე პლატონ, ცქიტიშვილი ალექსანდრე, ტალახაძე ილარიონ ილარიონის ძე, მელითაური მიხაკო ონისიმეს ძე, სანიკიძე პანთელეიმონ დათას ძე, ჯიჯავაძე ლონგინოზ, ბელაშვილი ზურაბ ადამის ძე.

# რა მდგომარეობაშია დღეს ივერიის ეკლესიის საკითხი?

„ჯგუფის აზრიდან“ კი განსვენებულმა სწორედ ის მოიყვანა სისრულეში, რაც მაშინ ჩვენთვის ყველაფერზე უფრო ძვირფასი იყო, მაგრამ ნამდვილად არავითარ ღირებულებას არ წარმოადგენდა. ეს იყო ეკლესიის მსახურთა მრევლის მიერ არჩევნის უფლება. განსვენებულმა განსაკუთრებითი ყურადღება მიაქცია იმ გარემოებას, რომ 1906 წლის 12—14 ოქტომბერს ქართველ ეპისკოპოსთა და სამღვდელოების რწმუნებულთა კერძო თათბირმა სხვათა შორის საარჩევნო უფლება დაასახელა ივერიის ეკლესიის ჰრილობათა მალამოდ,—და დაუყონებლივ, 24 ოქტომბერს (№ 3688) შესაფერისი, თავისებურად დასაბუთებული შუამდგომლობა გაგზავნა უწ. სინოდში. ძლიერ ჩქარა მოხდა „დაუჯერებელი რამე“, როგორც მაშინ გვეგონა, და უწ. სინოდმა 1907 წლ. 17 იანვრის—7 თებერვლის 254 ნომრის დადგენილებით (10 თებერვლის უკაზი № 1615) საქართველოს საექსარხოსოში შემოიღო საარჩევნო უფლება.

რა იყო ეს უფლება და რა შავი ბედი მიაყენა მან ივერიის ეკლესიას, ამაზედ ძლიერ ბევრი ითქვა და დაიწერა ჩვენში *). ეს იყო არსებითად ოქროს კუბო. ხოლო კუბო როგორიც უნდა იყოს, მაინც სიკვდილის და გაქრობის მომასწავებელია,—და ის საარჩევნო უფლებაც, რომელიც 1907 წელს გვიბოძეს, როგორც შემდეგ გამოირკვა, სწორედ დამახინჯებას,

პირიდან აღგვას უპირობდა ჩვენს ეკლესიას, ცოტა ხანი კიდევ რომ შერჩენოდა ქვეყნად არსებობა. მრევლის და სამღვდელოების ურთიერთობა სულია ეკლესიისა, კერძოდ მრევლი სხეულია, ხოლო სამღვდელოება მოწესრიგე თავი, რომელიც ფაქტიურად განაგებს ეკლესიის ცხოვრების საქმეს. და სწორედ თავიდან უქადდა ივერიის ეკლესიას გახრწნას იმ დროინდელი საარჩევნო უფლება.

მაგრამ ჩვენს კერძო აზრს ასწილ სჯობია მოვუსმინოთ ქართლ-კახეთის სამღვდელოების 1908 წლის 15 დეკემბრის საეპარქიო კრებას იმ სახით, როგორც ეს აწერილია გაზეთ „დროებაში“ იმავე დეკემბრის თვრამეტს,—№ 26.

„კრებამ—მოგვითხრობს „დროებაში“ მოთავსებული ოქმი—განიხილა საკითხი მრევლის შესახებ...

კრებამ განიხილა საკითხი მრევლის მიერ კრებულის არჩევის შესახებ. ამ საკითხმა ცხარე კამათი გამოიწვია. ზოგმა განაცხადა: თუ ამდენი ხანი აკადემიელს ან სემინარიელს არქიელთან სჭიროდა თავის მოხრა და ხვეწნა ცოტაოდენ რიგიან ადგილის საშოვნელად, ეხლა ბოქაულთან და მამასახლისთან სჭირდება მუდარა, რომ არჩეულ იქმნასო. ასეთი მაგალითიც მოიყვანეს, რომ ერთმა პირმა ბოქაულთან საქმე გაიკეთა, ბოქაულმა „პრიგოვორი“ დასწერა, დაიბარა მამასახლისი კანცელარიაში და უბრძანა ხალხს ხელი მოაწერინეო. როდესაც მამასახლისმა ჰკითხა, რაზედ არის განაჩენიო, ბოქაულმა დაუყვირა, ეგ რა შენი საქმეაო. მამასახლისმა ასეთსავე მუქარით ხალხს ხელი მოაწერინა და იმ პირმა საუკეთესო ადგილი გაიკრაო. ვინ იცის, რა საშუალებას არა ხმარობენ თურმე, რომ ყოვლად უღირსმა პირებმა მღვდლობა ჩაიგდონ ხელში. თავმჯდომარე შეეკითხა დეპუტატებს, მაშ რა ვქნათ, რომ ჩვენივე ნათხოვნია ეგ არჩევითი წესიო.

ამის საპასუხოდ ივერმა ილაპარაკა. სხვათა შორის, მღ. ოქროპირიძემ სთქვა: ჩვენ ესეთი არჩევნები არ გვითხოვნია, ჩვენ რასაც ვითხოვდით, იმისი დამახინჯებული აჩრდილი მოგვცეს და, მაშასადამე, სრული უფლება გვაქვს უარ-ვყოთ იგი, რაც არ გვითხოვნიაო. მას მხარი დაუჭირა დეკ. ასათიანმა, მღ. ნინიკაშვილმა, ბებიაშვილმა, წიკლანაურმა და სხვებმა. მღ. გოცირიძემ სთქვა: საქმე უფრო გულდასმით უნდა გადავწყვიტოთ; ვითხოვეთ პური და მოგვცეს პურის ნატეხი; დავაცადოთ და იქნება მთელი პურიც მივიღოთო.

მღ. ნინიკაშვილმა დიდხანს ილაპარაკა აწ არსებულ საარჩევნო წესის უვარგისობაზედ და მოითხოვა იმისი გაუქმება. მღ. კანდელაკმა სთქვა: ერთი იმ წევრთაგანი, რომელთაც 1906 წელს დეკემბრის კრებაზედ მოითხოვეს არჩევნებითი უფლება, მე გახლდით და მაშინ დიდის აღტაცებითაც ვაწერდი ხელს, მაგრამ, მიუხედავად ამისა,დღეს მე თითონ მწადიან ამგვარ არჩევნების გაუქმება. შემიძლიან პირდაპირა ვსთქვა, რომ არჩევნებითი წესი არცა გვქონია, არც მოუციათ და არცა გვაქვს. ვინც ამ წეს გვაძლევდა, იცოდა რასაც გვაძლევდა, ამიტომაც ჩქარა დაიგზავნა ცირკულიარები—მოგეცათ რასაც თხოულობდით, მხოლოდ იმ პირობით, რომ ჯერ მამასახლისს უნდა მოეწონო, მერე ბოქაულს, მერე ხალხის ჯეელ ბიჭებს და მერე არქიელსაო. თუ ამ განსაცდელებს გადარჩი, ხომ კარგი, თუ ვერა და მაშინ მორჩა შენი საქმეო!..

მღ. ჯალიაშვილმა სთქვა, მეც გახლდით იმ კრების ერთი წევრთაგანი. ჩვენ მოვითხოვეთ არჩევნის უფლება არა ბოლოდან, არამედ თავიდან, როგორიც არსებობდა პირველ ეკლესიაში, და ისიც დროებით, ვიდრე საქართველოს ეკლესია მოიპოვებოდა ავტოკეფალურ თავისუფლებას და მერმე თავისუფალი ეკლესია თვით მოუვლიდა თავის თავს. მანამდე არჩევნები თვით ეპისკოპოსიდან უნდა დაწყებულიყო. ეხლა კი არჩევნების უფლება ბოლოდან მოგვცა ე. ი. არჩევა შეიძლება: დიაკვნის, მღვდლის და ბლაღოჩინის.

ამ აზრითვე სამღვდელო ხარისხის მოსაპოვებელ გამოცდის პროგრამაც ისე იქმნა შემცირებული, რომ ყველას შეუძლიან ჩააბაროს, თუნდაც სკოლის კარები არ ენახოს და არც მონასტერში ყოფილიყოს. უნდა ვეცადოთ, ბოლო მოუღოთ ამ სისაძაგლეს და ვიხსნათ ეკლესია საბოლოო დაღუპვისაგან.

ბოლოს კრებამ დაადგინა, სთხოვოს ექსარხოსის მოადგილეს, აღძრას შუამდგომლობა სინოდის წინაშე, რომ აწ

*) იხ. სხვათა შორის „Закавказье“ 1907 წლისა №№ 92, 93 და 211; 1908 წ. № 99; „Новости Закавказья“ 1908 წლ. №№ 25 და 34; „სახალხო გაზეთი“ 1911 წლ. №№ 436, 454, 455 და სხვ.

არსებული წესი არჩევნებისა შეჩერებულ იქმნას იმ დრომდის, სანამ სრულიად რუსეთის საეკლესიო კრება არ განიხილავს საქართველოს ეკლესიის საკითხს“.

(შემდეგი იქნება)

**ახელი.**

# მგზავრის შენიშვნები

(საკუთარი კორესპონდენტისაგან)

**ქურთების სოფელში.**

სამხრობა მოტანებული იყო. ბუნება თაღლითობდა: ხან მოიღრუბლებოდა ცა, ხან ისევ მზე ამოჰყოფდა ხოლმე თავს. მე და ჩემი თანაშემწე ცხენებს ვერეკებოდით, გვეშინოდა, წვიმას არ მოესწრო! ამასაც ვერ ავცდით. აქაურ მიწას ისეთი თვისება აქვს, რომ საკმარისია წამოჟინჟლოს, რომ გზა გაუვალი შეიქმნას; ამის მიზეზით ცხენებს სიარული საშინლად გაუჭირდათ და ჩვენკი წვიმა გვასველებდა; როგორც იყო, მიუახლოვდით ერთ სოფელს, რომელსაც სოფლობისა არა ეტყობარა, ვინაიდგან არც ერთი შენობა არ მოსჩანს ყველა სახლი მიწაშია გათხრილი. უცოდინარი მგზავრი, იმით თუ მიხვდება აქ ხალხი სცხოვრობსო, რომ სოფელში შესვლისთანავე ოციოდე ძაღლი დაუწყებს ღრენას. სოფლის განაპირად შევამჩნიეთ ერთი სასახლე, რომელსაც მიუახლოვდით; ეს იყო სოფლის სამმართველო. მისვლისთანვე რამდენიმე ქურთი გამოგვეგება. ცხენები ჩამოგვართვეს და შეგვიპატიჟეს კანცელარიაში. არ გასულა დიდი ხანი, რომ კანცელარიაში ჩვენს სანახავად იწყეს მოსვლა სოფლის მცხოვრებლებმა. ჩემი თანაშემწე თათარია, მეც ვიცი ოსმალური და ერთად ბაასი გავაბით. რამდენიმე წუთის შემდეგ კანცელარიაში შემოვიდა ერთი, მეტად ლამაზი სახის, სუფთად ჩაცმული მოხუცი, რომელიც ამაყურად გამოიყურებოდა, მის დანახვაზედ ყველა ფეხზე წამოიჭრა; მოხუცი მოგვიახლოვდა და სალამი მოგვცა. ჯერ, ვიდრე გაიგებდნენ ჩვენ ვინაობას, ცოტა არ იყოს შიშით შემოგვყურებდნენ, მაგრამ ამ მოხუცმა თავის შეკითხვით ყველასათვის აშკარა ჰყო ჩვენი ვინაობა.

— თქვენი ამხანაგი რა რჯულისაა?— ჩუმად შეეკითხა მოხუცი ჩემს ამხანაგს.

— ქართველია.

— ქართველი? კეთილი (ჩვენი ძმა) ყოფილა. როდესაც გაიგეს, რომ მე ვიკვლევდი დაზარალებულ მაჰმადიანთა სოფლების მდგომარეობას და ავადმყოფობას, ყველას სიხარული აღბეჭდა სახეზედ და ერთბაშად მოწონებით და კმაყოფილი შემოგვძახეს და ხელის ჩამოსართმევათ წამოვიდნენ.

— საფა გალდი, საფა გალდი (კეთილი იყოს თქვენი მოსვლა). ამის შემდეგ ამ მოხუცმა გვთხოვა იმასთან წავსულიყავით; ჩვენ ყაბულს გავხდით. მოხუცი აღმოჩნდა ადგილობრივი მილიონერი ქურთი ისუფ-აღა.

**სტუმრად მიწის ქვეშ მცხოვრებ მეფესთან.**

— როდესაც გზაში მივდიოდი, ვფიქრობდი, ეხლა კი სასახლეში შევალ მეთქი. მაგრამ ჩემს გაკვირვებას საზღვარი არ ჰქონდა როდესაც ამ მილიონერმა მიგვიყვანა ერთ სარდაფთან, რომელსაც მოჰყვა მეორე, მესამე. ჩვენ მხოლოდ მეოთხეში შევედით. წარმოგვიდგა მშვენიერი დიდი დარბაზი, ჩუქურთმებით მორთული, სიგრძეზედ მარჯვნივ და მარცხნივ ჩავლებული ტახტი. კუთხეში დგას ერთი მაგიდა რომელზედაც ექვსი ჩალის სკამი აწყვია ერთმანეთზედ რომელიც დანიშნულია მისულ სტუმრებისათვის. იქვე ტახტზედ მოკეცილი იჯდა მეორე ძმა, რომელიც ყალიონს სწევდა. შესვლისათანავე, სალამი მივეცით, სალამზედ მოწიწებითი სალამით გვიპასუხა. უნდა აღვნიშნო ერთი მათი ჩვეულება: ვიდრე არ გაიგებენ თუ რისთვისა ხარ მათ სოფელში მისული, მანამ არ გისურვებენ კეთილ მისვლას; ასე სჯიან იქნებ სამტროდ არის მოსულიო. როცა შინ მყოფმაც გაიგო ჩვენი მისვლის მიზეზი, მაშინათვე წამოდგა ხელი გამოგვიწოდა და გვისურვა კეთილად მოსვლა. ამ მილიონერებს ამ ოთახის გარდა კიდევ მიწის ქვეშ ათი სხვა ჰქონიათ.

ქალების ოთახები ცალკეაა, რადგან მამაკაცების ოთახში ქალი ფეხს ვერ შესდგამს. მოსამსახურეებისთვის ცალკე ოთახია მიჩნეული, ცალკე სადგომებია საქონლისათვის და სხ. რამდენიმე ხნის შემდეგ ჩვენი მისვლისა, მაგიდა დაგვიდგეს წინ. მასპინძლები წამოდგნენ, ავიდნენ მაღლობზედ რომელიც სპეციალად გაკეთებულია ოთახში ფეხებისა და ხელების დასაბანად, მერე გაიშალეს პატარა ხალიჩები და დაიწყეს ნამაზი (ლოცვა) მათი წესით, როგორც სუნიტებმა, დღეში ხუთჯერ უნდა ილოცონ, რასაც მტკიცედ ასრულებენ. ამის შემდეგ მოიტანეს ვახშამი, სამი ვერცხლის **მათრათით**, მაწონი, ფლავი და ყველი. რადგანაც ვიცოდი, რომ გაუნათლებელი მაჰმადიანები ქრისტანისგან ხელ-ნახლებს არა სჭამენ, ხელი არაფერს ვახლე.

— რატომ არ მიირთმევთ?—შემეკითხა მასპინძელი.

— აკი წესად არ გაქვთ ქრისტიანთან ერთად ჭამა მეთქი ვუპასუხე.

— თქვენ სხვა ხართ, მიირთვით! ყველაფერი უხვად იყო მორთმეული, მაგრამ საჭმელი არ იყო სუფთა ნახელავი. სამი დღე დავრჩით სტუმრად ამ მიწის ქვეშ მყოფ მეფესთან. ძალიან მინდოდა მათი ქალების ოთახის მოწყობილების ნახვა მაგრამ ვერ ველირსე.

**პურ-მარილი.**

თუმცა საქართველო განთქმულია თავის პურ-მარილობით, მაგრამ უნდა გამოვტყდეთ რომ ისეთი პურ-მარილიანი ხალხი, როგორიც ოსმალნი და ქურთნი არიან, არა მგონია, იყოს კიდევ ვინმე. სტუმრის მეტისმეტი მოყვარულნი, ისინი მზად არიან ზედ გადაგეგონ, ოღონდ კი გასიამოვნონ. თუ მათ სოფელში მოგიღამდა გინდა უცხო მგზავრი იყო არაფრის გზით აღარ გაგიშვებენ, იმ ღამეს გაგატარებინებ. გაუჩენელს გააჩენენ, პურს გაჭმევენ მეორე დღეს გაგისტუმრებენ. ზემოდ დამავიწყდა მეთქვა, ამ მდიდრებს კარებთან რამდენიმე მოსამსახურე უყენიათ რომელნიც პურის ჭამის დროს დაჯდებიან ისე კი სულ ფეხზე დგანან და ელიან ალას ბრძანებას, რომ მსწრაფლ შეასრულონ.

**ბერძნები და მაჰმადიანები.**

სომხობას, რომ თავი დავანებოთ, ბერძენთა და მაჰმადიანთა შორის ერთმანეთში დიდი შუღლი სუფევს; ომის დაწყებამდის თითქოს არ მოსჩანდა მაგრამ ომის დაწყებიდან ფარულმა მტობამ თავი მყისვე იჩინა; ბერძნებმა ოსმალთა დარბევის დროს მდგომარეობით ისარგებლეს და ყოველ ღონეს ხმარობდნენ რაც შეძილებოდა მეტი ვნება მიეყენებინათ მათთვის. ჯაშუშობდენ, სოფლებში შეუვარდებოდნენ და გაჰქონდათ სხვა და სხვა საგანძური. ერთ ოსმალთა სოფელში 128 კომლიდან სულ 9 მოხუცი-ღა გადარჩენილა. ამ სოფელში წინასწარად გაუთარეშნიათ ბერძნებს, არ დაუნდვიათ ქალი და ბავშვი. ამისთანა სისაძაგლეებს ბევრს ჰქონდა ადგილი რის გამო ურთიერთობა ერთობ გამწვავებულია. რამდენადაც ვეცნობი თან და თან ვრწმუნდები რომ ისინი საშინელი გულღრძო ხალხია; პირად „მეს“ ვიწრო სარგებლობის იქით აღარას ხედავენ. ამასთან ამაყნი, გულზვიადნი და უპურ-მარილონი. ამიტომაც გულკეთილი ოსმალონი მათ ვერ ურიგდებიან.

**მილიონერი ტაგიევი და ოსმალო სოფლები.**

თითქმის ნახევარი წელია რაც ყარსის ოლქის დარბეულ მაჰმადიანთა სოფლებში მუშაობს ბაქოს თათართა საქველმოქმედო საზოგადოება რომელიც ყოველ გვარ დახმარებას უწევს მათ. ეს მე თავის დროზედ აღნიშნული მქონდა გაზ. „საქართველოს“ ფურცელზედ. მაგრამ ოსმალთა სოფელში ტაგიევის სახელი უფრო გავარდნილია და ყველა მის სახელზედ ლოცულობს. მაგალითად, როცა მაჰმადიანთა საქველმოქმედო საზოგადოების წევრი შედის სოფელში და ეუბნება.

— ბან მუსულმან ჯამათათი ხეირიასი ადამიამ! ე. ი. (მე მაჰმადიანთა საქველმოქმედო საზოგადოების კაცი ვარო), მცხოვრებთ ეს არ ესმით და მაშინვე მიაძახებენ.

— ბილირუხ ტაღიოვ ადამასან (ვიცით ტაღიევის კაცი ხარო). რამდენიც უნდა უჩიჩინონ, ისინი თავისას გაიძახიან. მაგრამ ბატ. ტაგიევი, როგორც გადმომცეს, ნამდვილად ნაკლებად მზრუნველობს დარბეულ მაჰადიანებისთვის.

**ვ. ს—შვილი.**

# რუსეთის ცხოვრება

**შაქრის მონოპოლია.** ფინანსთა სამინისტრო ამუშავებს პროექტს შაქრის სამონოპოლიოდ. განზრახულია მონოპოლია უყონ არა შაქრის წარმოებას, არამედ შაქრის ვაჭრობას.

**სახელმწიფო დეფიციტი.** სათათბიროში მიღებულ ცნობებით 1916 წლ. დეფიციტი შვიდასი მილიონი მანეთი იქნება.

**მოსკოვის ამბები.** მაისში მოსკოვში მომხდარ ამბავთა გამო სენატორმა კარეშენიკოვმა [illegible] მოხსენება წარადგინა სენატის პირველ დეპარტამენტში.

—

ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროში მსჯელობაა გამართული რუსეთის ვაჭრობა-მრეწველობის გერმანთა ძალადობაგავლენისაგან გასანთავისუფლებლად.

—

ვაჭრობის საქმეთა მეთვალყურეს ევალება ბანკების მოქმედებას თვალ-ყური ადევნოს სანოვაგე-სურსათის მოგვარების საქმეში.

# პროვინცია

**ქ. ახალციხე.** აქ ომის დაწყებიდანვე დაარსდა ქალთა კომიტეტი, რომელსაც სათავეში უდგა მხნე, ენერგიით ავსილი, დაუღალავი მუშაკი ქალი ქ. ვერა პეტრეს ასული კვალიაშვილისა. ეს წრე არ ზოგავს ძალას თავიანთ წმინდა მოვალეობის განსახორციელებლად. ისე კვირა არ გაივლის, რო რაიმე გასართობი არ გამოიგონოს და მით მოკრეფილი ფული არ მოახმაროს დაჭრილთ და გაჭირვებაში მყოფთ მეომართ. ყიდულობენ მიტკალს, ჰკრეფენ საცვლებს, რომლის ნაწილს არიგებენ აქვე მყოფ დაჭრილ ჯარისკაცთა შორის და მეორე ნაწილს კი ჰგზავნიან ბრძოლის ველზე. შაქარი, ჩაი, ლოგინი (რომლის დიდი მოთხოვნილებაა აქაურ საავადმყოფოში) და სხვა წვრილმანი სასყიდელი ჯარისკაცთათვის, —აი მათი ზრუნვა. ხშირად ის ჯარისკაცნი, რომელთაც ბრძოლის ველზე გამგზავრების წინ, რომელთაც უფეხსაცმელობის გამო არ იცან როგორ განვლონ დიდი მანძილი,—მიმართავენ ხოლმე ამ წრეს. გამგენიც დაუყოვნებლივ ყიდულობენ თბილ ფეხსაცმელებს და ისე ისტუმრებენ შორეულს ამოცანით აღსავსე მხარისკენ. აი ამ კომიტეტის ერთმა წევრმა, სახელდობრ მარგალიტა დარახჩევისამ, შაბათს 26 ამ თვეს. კვლავ გამართა საცეკვაო საღამო საზაფხულო საკრებულო დარბაზში, რომელიც კეკლუცად იყო მორთული და თვის მშვენიერებით თითქოს გამვლელ-გამომვლელთ ეუბნებოდა, „სად მიხვალთ სად, მოდით ისიამოვნეთ, მეც დამამშვენეთ, გამამხიარულეთ და მის ნაყოფით, იქ ბრძოლის ველზე ულუკმაპუროდ მყოფ მეომართა ერთ ჯგუფს მაინც გაახარებთო“. გამვლელ-გამომვლელნი მართლაც საღამოს 8 საათ. გაეშურნენ დარბაზისკენ. 9 საათ. ბილეთები სულ არ იშოვებოდა, რის გამოც ბევრნი უბილეთობის გამო დაღონებულნი უკან ბრუნდებოდნენ. დარბაზი ხალხით იყო გაჭედილი. დარბაზში უკრავდა სიმებიანი ორკესტრი, საზანდარი და ტრიო. ორი ფლეიტაზე და ერთი გარმონზე. გასართობი ბევრი იყო: ცეკვა, „ფოსტა“, „კონფეტი“ და სხვა და სხვა. სხვათა შორის მომხიბვლელად იცეკვა უზუნდარა, ციგნის ტანსაცმელში გამოწყობილმა ქ-ნმა №. საერთოდ საღამომ დიდებულად ჩაიარა. საზოგადოება დიდი კმაყოფილი დარჩა. მადლობა გადაუხადეს ქ-ნ დარახჩევისას და ისე დაიშალნენ. შემოსავალი სრული 350 მან. იყო. აქედან 100 მან. დაიხარჯა სხვა და სხვა სასყიდლებზე. დანარჩენი 250 მან. ჩაბარდა კომიტეტს რომელიც მალე დახმარებას აღმოუჩენს სადაც უფრო საჭირო იქნება.

**ოლ. ავნეველი.**

—

**ქ. გორი.** ამ დღეებში ჩვენ ქალაქის ქუჩაზედ შევხვდი ერთს ჩემს კარგ ნაცნობს ახა[illegible]ლს სოფლის მასწავლებელს. [illegible] შემდეგ [illegible]ბით შევე[illegible] მოგიკლიათ-მ[illegible] [illegible] არა მცალიან,—მომიგო ნაცნობმა,—ცოტა რამ სკოლის საქმე მაქვს, აი ეს არის ეხლა საქმისთვის მივდივარ მაზრის უფროსთან, და მომიყვა შემდეგ ამბავს. წრეულს მას სწავლა არ განუახლებია, რადგან გლეხებს ბავშვები არ გაუგზავნია სკოლაში. აი ეს ამბავი უცნობებია ჩემს ნაცნობ მასწავლებელს სკოლების მზრუნველისათვის, ამ უკანასკნელს ეს ცნობა აუღია და მაზრის უფროსთან გაუგზავნია და თვითონ მასწავლებელიც თან გაუყოლებია. არ ვიცი რა გზას დაადგება მაზრის უფროსი, რას უზამს მასწავლებლის მიერ შირთმეულ ქაღალდს, ხოლო თვით ფაქტი მეტად სერიოზული ამბავია, რასაც გაკვრით მოგახსენებთ: თურმე დოესელ (ჩემი ნაცნობი მასწავლებელი მ. ც—შვი ს. დოესის სკოლაშია გამწესებული) გლეხებს სკოლის ფულის აკრეფის დროს უდიერად ეპყრობიან ხარჯის ამკრეფნი, ჩვეულებრივ ლანძღვა-გინებით, დარბევით და თუ გაბრაზდნენ—მათრახითაც კი. გლეხებმა ხარჯი გაიღეს, მაგრამ უზრდელ ამკრეფლებზედ შური ასე იძიეს—ადგნენ და ბავშვები აღარ გაგზავნეს სკოლაში. საცინელია, მაგრამ უფრო კი სავალალო და სატირელი ასეთი მოვლენა, მაგრამ ეს ფაქტია.

ჩვენის მხრით ჩემს ნაცნობს მასწავლებელს და საზოგადოდ სოფლის მასწავლებელთ ვურჩევთ მეტი მუყაითი ყურადღება მიაქციონ სოფელს. ისინი მარტო ანა-ბანას და ლოცვების კითხვის სწავლას კი არ უნდა დასჯერდნენ, არამედ თვით ხალხის გათვითცნობიერებას, სწავლისადმი სიყვარულისა და ხალისის ჩანერგას უნდა ცდილობდნენ თვით სოფლის მასსაში. ერთი სიტყვით მასწავლებელია ერთად-ერთი მნათობი როგორც შავ-ბნელ ბურუსში გახვეულ ჩვენი სოფლისა აგრეთვე ბეჩაეი ჩვენი სამშობლოსი და მომავლის იმედიც მათზეა დამყარებული.

**ურბნელი ვასო.**

# დეპეშები

**ლონდონი,** 15 ოქტომ. მდგომარეობა დასავლეთ ფრონტზე უცვლელია. ორივე მხარე სანაღმო მუშაობას განაგრძობს. გერმანელთა არტილერიამ ძლიერი სიცხოველე გამოიჩინა იპრის აღმოსავლეთით და ლაბასეს არხის სამხრეთით. ინგლისელთა არტილერიაც თამამად უპასუხებდა.

**რომი,** 14 ოქტომ. ჩვენი არტილერია მარჯვედ ესროდა მტრის პოზიციებს ადიჯეს მარცხენა ნაპირზე. კორდევოლეს ზემოდ საველე სიმაგრე ჩავიგდეთ ხელში. რვა კაცი წამოვიყვანეთ ტყვედ. ასევე გავიმარჯვეთ მინტე-დიჩის ფერდობებზე სადაც ოცამდე ტყვე წამოვიყვანეთ. კრასოზე ინტენსიური სროლაა. ჩვენი ქვეითა ჯ[illegible] განწყობილება ჯერ არ დაცემულა...

**პარიზი,** 14 ოქტომ. არასისა და ლილის შუა ტყვედ წამოვიყვანეთ 30 კაცი. მდ. ენის ჩრდილოეთით და სუასონის დასავლეთით მეთოდიური სროლაა. რეიმსის აღმოსავლეთით გერმანელებმა განაახლეს იერიშები. ჯერ მახრჩობელა გაზები გამოუშვეს და მერე იერიშით წამოვიდნენ. ფრანგებმა ადვილად აიცდინეს განსაცდელი და იერიშიც შეაჩერეს.

**ჰავრი,** 14 ოქტომ. დილით გერმანელებმა მკვირცხლი მოქმედება დაიწყეს. არტილერია უშენდა ჩვენს სიმაგრეებს ფიურნ-ლოსთან და დანარჩენ ფრონტზე. სტეენსტერტთან ხელის სასროლ ყუმბარებით ვებრძვით ერთმანეთს.

რედაქტორ-გამომცემელი
**სანდრო შანშიაშვილი**

## კახეთის რკინის გზის მიმოსვლა.

(თბილისის დრო)

**მიმოსვლა ყოველდღე სწარმოებს.**

**თბილისიდან გადის:**

| | |
|---|---|
| თელავისა დ წნორისკენ დილ. | 8 ს. 58 წ. |
| გურჯაანში მიდის ნაშუადღევის | 3 ს. 53 წ. |
| გურჯაანიდან გადის თელავისკენ ნაშუადღევის . . | 4 ს. 53 წ. |
| თელავში მიდის ნაშუადღევის | 5 ს. 35 წ. |
| გურჯაანიდან წნორზე მიდის | 4 ს. 18 წ. |
| წნორზე მიდის . . . . . | 5 ს. 15 წ. |

**თელავიდან ყოველ დღე გამოდის თბილისისკენ:**

| | |
|---|---|
| დილის . . . . . . . . | 8 ს. 58 წ. |
| გურჯაანში მოდის . . . | 10 ს. 26 წ. |
| წნორიდან თბილისისკენ გამოდის დილის . . . . | 10 ს. 16 წ. |
| გურჯაანში მიდის . . . . | 10 ს. 16 წ. |
| გურჯაანიდან თბილისისკენ გამოდის დილის . . | 10 ს. 46 წ. |

თბილისში ჩამოდის 5 საათზე.

## ამიერ-კავკასიის რკინის გზის მიმოსვლა

**(დრო ნაჩვენებია თბილის. საათით)**

**თბილისში მოდის:**

| | | | |
|---|---|---|---|
| № 3 | ბაქოდან . . . | 12 ს. 54 წ. | დღ. |
| № 4 | ბათომიდან . . | 5 ს. 55 წ. | საღ. |
| № 5 | ბაქოდან (სწრაფი) | 7 ს. 41 წ. | საღ. |
| № 10 | ბათომიდან. . | 9 ს. 51 წ. | დილ. |
| | ჯულფიდან . | 6 ს. 53 წ. | დილ. |
| | ბორჯომიდან . | 7 ს. 25 წ. | დილ. |
| | „ საავარ. | 10 ს. 28 წ. | საღ. |

**თბილისიდან გადის:**

| | | | |
|---|---|---|---|
| № 3 | ბათომისკენ . . | 1 ს. 45 წ. | დღ. |
| № 4 | ბაქოსკენ . . | 7 ს. 3 წ. | საღ. |
| № 6 | ბაქოს (სწრაფი) | 12 ს. 8 წ. | დღ. |
| № 9 | ბათომისკენ . . | 8 ს. 53 წ. | საღ. |
| | ჯულფისკენ . | 10 ს. 23 წ. | საღ. |
| | ბორჯომისკენ | 3 ს. 29 წ. | დღ. |

**1 მაისიდან ქ. თბილისში გაიხსნა ჟურნალ-გაზეთების კანტორა**

# „განათლება“

ჯერჯერობით აგენტებს გაეგზავნებათ შემდეგი გაზეთები: „საქართველო“, „თანამედროვე აზრი“, „ეშ მათრახი“, „თეატრი და ცხოვრება“, „კავკაზსკოე სლოვო“, „თბილისის ლისტოკი“, „ორიზონი“, „მშაკი“ და „ხათაბალა“ და იყიდება ახლად გამოცემული წიგნი ა. ალდონისა **„აკაკი და მისი პოეზია“** (რუსულ ენაზე), **„სქესობრივი საკითხი და ბავშვი“** ი. გომართელისა, **„მსოფლიო ომის ეკონომიური მიზეზები“**—მასლოვისა, **„ცხოვრების სიმღერები“**—ბეგლარ ახოსპირელისა, **„კოოპერატივები იტალიაში“**—ნ. ჟორდანიასი და სხვადასხვა ქართული წიგნები.

აგენტები ვალდებულნი არიან მთელი თვით დაკვეთილი გაზეთების ფასი წინდაწინ გადაიხადონ.

ფული და წერილები უნდა გამოიგზავნოს შემდეგი ადრესით: Тифлисъ, почт. ящ. № 96, Сильвестру Р. Таварткиладзе.

**კანტორის ადრესი:** Ольгинская 6.

# თევზის მრეწველნი
# ძმ. ძეძველოვები

**პუშკინის ქუჩა, საკუთ, სახ, № 9, ტელეფონი № 712.**

# განყოფილება ავლაბარში

**კახეთის ქუჩა, საკუთ. სახ. № 7. ტელეფონი № 712.**

ყოველდღე მოგვდის საკუთარ და სავაჭრო სახლ. **„ლ, მაილოვის-შვით“**, სამრეწველოებიდან ახალი ქვირითის **ხიზილალა**, მცირე მარილიანი, შავი **„მეშოჩნი“** ხიზილალა, აგრეთვე ახალ-ახალი მტკვრის ზუთხი, თართი, ფარგა და ლოქო, გვაქვს აგრეთვე მიღებული ყოველგვარი კონსერვები და სარდინკები რუსეთის და საზღვარ-გარეთის ფირმებისა ხანგრძლივ ინახება.